



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია  
 GEORGIA  
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.34211413

თარიღი:21/05/2021

**ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

- 1.საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) მეშვეობით, გამოცხადდეს ღია კონკურსი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
- 2.ღია კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიამ.
- 3.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
- 4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
 ელექტრონული ხელმოწერა/  
 ელექტრონული შტამპი

